

**გაორებული ქრონოტოპი და ემიგრაციის სიმბიძე XX-XXI
საუკუნეების ამერიკულსა და ქართულ მოკლე მოთხრობაში**
(ჯუნო დიასის, იანგ ჯინ ლისა და ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობების მიხედვით)

თამარ ყალიჩავა

სულხან-საბას უნივერსიტეტი

თამთა ყალიჩავა

საქართველოს უნივერსიტეტი

თბილისი, საქართველო

E:mail:Tamuniakalichava@gmail.com

tamtalkalichava@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2026.11.46>

შესავალი. ლიტერატურული ქრონოტოპი, როგორც მიხეილ ბახტინის მიერ დამკვიდრებული ტერმინი, განსაზღვრავს დროისა და სივრცის მხატვრულ ერთიანობას ლიტერატურულ ნაწარმოებში [Bakhtin, 1981]. ემიგრაციულ დისკურსში ეს კატეგორია განსაკუთრებულ ტრანსფორმაციას განიცდის და ქმნის სპეციფიკურ ფენომენს, რომელსაც წინამდებარე კვლევაში „გაორებულ ქრონოტოპს“ ვუწოდებთ. როდესაც სუბიექტი ტოვებს მშობლიურ გარემოს, წყდება ქრონოტოპული მთლიანობა და იქმნება სივრცითი და ტემპორალური დისონანსი, რომელიც მხოლოდ გეოგრაფი-ულ მანძილს არ წარმოადგენს ორ ქვეყანას შორის, არამედ გამოხატავს მენტალურ გახეთქილებას „ყოფილსა“ და „აწმყოს“, „აქ“ და „იქ“ შორის.

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველი ემყარება კომპარატივისტულ მიდგომას, რომელიც საშუალებას იძლევა გამოვავლინოთ ემიგრაციული გამოცდილების უნივერსალური და კულტურულად სპეციფიკური ასპექტები. ნაშრომის მიზანია, გამოვკვეთოთ, თუ როგორ ახერხებენ სხვადასხვა ეპოქისა და ეროვნების ავტორები ამ იდენტობის გაორების მხატვრულ რეპრეზენტაციას. ნიკო ლორთქიფანიძე თავის იმპრესიონისტულ პროზაში „შიდა ემიგრაციისა“ და კულტურული ტრანზიციის ტრაგიკულ მოდელს გვთავაზობს, ხოლო თანამედროვე ამერიკელი ავტორები — ჯუნო დიასი და იანგ ჩოი — გლობალიზაციისა და მულტიკულტურალიზმის კონტექსტში იკვლევენ იდენტობის ფრაგმენტაციასა და რეკონსტრუქციის შესაძლებლობებს.

2. თეორიული ჩარჩო: ბახტინის ქრონოტოპიდან ბაბას „მესამე სივრცემდე“

მიხეილ ბახტინის მიერ შემოთავაზებული ქრონოტოპის კონცეფცია გულისხმობს დროითი და სივრცითი მიმართებების შინაგან კავშირს, რომელიც ლიტერატურაში მხატვრულ მთლიანობას ქმნის. ბახტინისთვის ქრონოტოპი არის ის კატეგორია, რომელშიც „დრო, ისე ვთქვათ, ხდება მხატვრულად თვალსაჩინო; მაშინ როდესაც სივრცე იძენს დროის განზომილებას“ [Bakhtin, 1981: 84]. თუმცა, ემიგრაციულ ტექსტებში ეს მთლიანობა ფუნდამენტურად ირღვევა.

„გაორებული ქრონოტოპი“ სწორედ ამ რღვევის შედეგია: პერსონაჟის ფიზიკური სივრცე (ემიგრაცია, ახალი გარემო) და მენტალური დრო (წარსული, სამშობლოსთან დაკავშირებული მეხსიერება) ერთმანეთს სცილდება და შუალედურ, ლიმინალურ მდგომარეობას აყალიბებს. ეს მდგომარეობა არც ბახტინისეული მთლიანობაა, არც მისი სრული დაშლა — ეს არის მუდმივი ძაბვა ორ განსხვავებულ ქრონოტოპულ სისტემას შორის.

განსხვავებით ჰომი ბაბას „მესამე სივრცისგან“ (Third Space), რომელიც ჰიბრიდულობისა და ახალი კულტურული იდენტობის შექმნის პოზიტიურ, პროდუქტიულ ზონად მოიაზრება [Bhabha, 1994], „გაორებული ქრონოტოპი“ უფრო მეტად ტრავმული და დისონანსურია. თუ ბაბასთან „მესამე სივრცე“ წარმოადგენს კულტურული ტრანზიციის შესაძლებლობას, სადაც ამომავალი და დანიშნულების კულტურები ერთმანეთთან დიალოგში შედიან და ახალ, კრეატიულ სინთეზს ქმნიან, ჩვენს მიერ განხილულ ავტორებთან ეს არის ეგზისტენციალური „გაჭედებლობა“ ორ სამყაროს შორის, სადაც სუბიექტი ვერც ახალ გარემოსთან ახდენს სრულ ასიმილაციას და ვერც ძველს უბრუნდება.

აქედან გამომდინარე, „გაორებული ქრონოტოპი“ არ არის მხოლოდ გეოგრაფიული კატეგორია, არამედ ეგზისტენციალური და ფსიქოლოგიური მდგომარეობის ლიტერატურული გამოხატულება, სადაც სივრცე-დრო კონფლიქტურ ურთიერთობაშია.

3. ნიკო ლორთქიფანიძე: „შელოცვა რადიოთი“ და კულტურული დისონანსის მხატვრული მოდელი

ნიკო ლორთქიფანიძის პროზა ქართული მოდერნიზმის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. მისი იმპრესიონისტული სტილი გამოირჩევა ლაკონიურობი-თა და მოზაიკური თხრობით, იდეალურ ხერხს წარმოადგენს იმ ეგზისტენციალური გაორების გამოსახატავად, რომელსაც ელი (ელპიდე) გორდელიანი განიცდის. კონსტანტინე გამსახურდიას შეფასებით, ნიკო ლორთქიფანიძე იყო ოსტატი, რომელმაც ქართულ სიტყვას ფერისა და ტონის ესთეტიკური ექვივალენტი მოუძებნა.

მოთხრობაში „შელოცვა რადიოთი“ (1928) დრო-სივრცული კოორდინატები ორ პოლუსს შორის არის გადანაწილებული: ევროპული ურბანული ლანდშაფტი, სადაც ელი მოგზაურობს,

და არქაული ქართული ყოფიერება, რომელიც მხოლოდ მეხსიერებისა და კულტურული კოდების საშუალებით რჩება მისთვის ხელმისაწვდომი. ელის „გაორება“ მის გენეტიკურ წარმომავლობაშივეა ჩაწერილი — ქართველი თავადისა და გერმანელი ქალის შვილი ერთდროულად ეკუთვნის ორ სამყაროს და, ამავდროულად, სრულად არცერთს.

მწერალი იყენებს იმპრესიონისტულ ტექნიკას — ფრაგმენტულ ფრაზებს, უზმნო წინადადებებს, ელიფსურ სინტაქსს — რათა გადმოსცეს ევროპული ცივილიზაციის თავბრუდამხვევი რიტმი და პერსონაჟის დაშლილი შეგნება. გრიგოლ რობაქიძის ფორმულირებით, თანამედროვე ადამიანი დროს სწრაფად იმორჩილებს, მაგრამ სანაცვლოდ ეგზისტენციალურ „სიცარიელეს“ ეჯახება. ელიც სწორედ ამ სიცარიელეშია მოქცეული. მისი ცეკვა გველებთან წარმოადგენს უკანასკნელ, სასოწარკვეთილ მცდელობას დაკარგული იდენტობის აღდგენისა და არქაულ ფესვებთან კონტაქტის აღმოჩენისა.

განსაკუთრებით სიმბოლურია მოთხრობის სათაური, რომელიც ორი ანტიპოდული კულტურული კოდის — ტექნოლოგიურისა და მითოლოგიურის — შეჯახებას ასახავს. რადიო მოდერნული ცივილიზაციის, ტექნოლოგიური პროგრესისა და გლობალური კომუნიკაციის სიმბოლოა, ხოლო შელოცვა — მეტაფიზიკური, არქაული რწმენისა და მაგიური აზროვნების. თუმცა, „შელოცვა“ თავისი ბუნებით მოითხოვს პირისპირ ყოფნას, ლოკალურ სივრცეს — ის არის ლოკალური ქრონოტოპის ორგანული ნაწილი. რადიო კი მას გლობალურ, უპიროვნო, დისტანციურ ტალღად აქცევს, რითაც უკარგავს საკრალურ ძალას და რიტუალურ ეფექტურობას.

შელოცვამ, რომელიც რადიოთი გადაიცემა, ძალა და ავთენტურობა დაკარგა. ეს მეტაფორა მიანიშნებს იმაზე, რომ კულტურული ფესვებიდან მოწყვეტილი ადამიანი ტექნოლოგიურ და რაციონალიზებულ სამყაროში დაუცველია ეგზისტენციალური გაუცხოებისგან. ელის სიკვდილი გველის ნაკბენით არის კულტურული ტრანზიციის ფატალური შედეგის მხატვრული გამოხატულება — არქაულის მტკივნეული გამარჯვება მოდერნულზე. ლორთქიფანიძესთან „გაორებული ქრონოტოპი“ XX საუკუნის დასაწყისში ჯერ კიდევ გადაულახავი ტრაგედიაა — სინთეზი შეუძლებელია, ხოლო ცხოვრება ორ სამყაროს შორის ფატალურად მთავრდება.

4. იანგ ჩოი: „დაკარგვის ხელოვნება“ და მეხსიერების ეროზია

თუ ნიკო ლორთქიფანიძესთან ემიგრაციის სიმძიმე ფიზიკური ფატალიზმით მთავრდება, იანგ ჩოისთან იგი გადადის ფსიქოლოგიური დაშლისა და მეხსიერების ეროზიის სტადიაში. მოთხრობა „დაკარგვის ხელოვნება“ (The Art of Losing, 2018) ფოკუსირებულია ამერიკაში მცხოვრები კორეელი წყვილის ეგზისტენციალურ კრიზისზე, რომელშიც ენობრივი და

კულტურული გაუცხოება თანდათან ქრება ალცჰეიმერის დაავადებით გამოწვეულ მეხსიერების მთლიან დაკარგვაში.

მო-სეის პერსონაჟი წარმოადგენს ემიგრანტის ტრაგიკომიკურ განსახიერებას. მისი მცდელობა, შეჭამოს ლექსიკონის ფურცლები ინგლისური ენის ასათვისებლად, ემყარება ძველ კორეულ ტრადიციას (სადაც ითვლებოდა, რომ ტექსტის შეჭმა ცოდნის ფიზიკურ შთანთქმას უზრუნველყოფს), მაგრამ ამერიკულ კონტექსტში ეს ქმედება იქცევა აბსურდულ, სასოწარკვეთის აქტად, რომელიც ხაზს უსვამს კულტურული გადანერგვის შეუძლებლობას. აქ ენა აღარ არის მხოლოდ კომუნიკაციის საშუალება — იგი ხდება ბარიერი, რომელიც ჰყოფს პიროვნებას საკუთარი წარსულისგან და ხელს უშლის იდენტობის შენარჩუნებას.

ალცჰეიმერით დაავადებული მო-სეი კარგავს იდენტობას, რაც ემიგრაციის საბოლოო და ყველაზე მძიმე საფეხურის მეტაფორად წარმოჩნდება — როდესაც ადამიანს აღარც სამშობლო ახსოვს და აღარც საკუთარი თავი. მწერალი ავლებს პარალელს XI საუკუნის ქართულ აგიოგრაფიულ ტექსტთან „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრება“, თუმცა მათ შორის არსებითი მეთოდოლოგიური სხვაობაა:

აგიოგრაფიული მოდელი: ექვთიმე მთაწმინდელის შემთხვევაში მეხსიერებისა და ენის აღდგენა არის სასწაული — ტრანსცენდენტული ჩარევა, სადაც ღვთისმშობლის მიერ ნაბოძები ქართული ენა არის წმინდა, ხელუხლებელი მოცემულობა. აქ ენა ღვთიური იდენტობის ნაწილია და მისი აღდგენა ხდება მყისიერად, სრულყოფილად, საიდუმლო ჩარევის შედეგად.

სეკულარული (თანამედროვე) მოდელი: იანგ ჩოისთან მეხსიერებას აღადგენს არა მეტაფიზიკური ძალა, არამედ ხელოვნება — კონკრეტულად, კორეული სახალხო მელოდია (არირანგი). ეს არის ფსიქო-ემოციური რეკონსტრუქცია, წამიერი და არასრული. სეკულარული ხელოვნება მოქმედებს როგორც „მეხსიერების რეზერვუარი“ — ის არ კურნავს პათოლოგიას (ალცჰეიმერს), მაგრამ წამიერად აერთებს გაორებულ ქრონოტოპს. ხელოვნება აქ არის ერთადერთი საშუალება, რომ ემიგრანტმა „შინ“ დაბრუნება იგრძნოს მეცნიერულად ახსნადი ესთეტიკური შოკის და ემოციური მეხსიერების მეშვეობით.

ეს განსხვავება ასახავს ფუნდამენტურ ცვლილებას იმაში, თუ როგორ განიცდება და რეპრეზენტირდება იდენტობის დაკარგვა და აღდგენა: სრულყოფილი სასწაულიდან ფრაგმენტულ, წამიერ აღმოჩენამდე.

5. ჯუნო დიასი: „სპანგლიში“ როგორც ენობრივი ქრონოტოპი და იდენტობის რეკონსტრუქციის სტრატეგია

ჯუნო დიასის მოთხრობა „ალმა“ [Alma, 2012] ემიგრაციულ დისკურსს ენობრივი წინააღმდეგობისა და ჰიბრიდული იდენტობის ფორმით წარმოგვიდგენს. ემიგრაციის სიმძიმე აქ მატერიალიზებულია თავად ენაში. ავტორი სისტემატურად იყენებს „სპანგლიშს“ (Spanglish

— ესპანურისა და ინგლისურის ორგანულ ნაზავს), რითაც ხაზს უსვამს პერსონაჟის შუალედურ, ლიმინალურ მდგომარეობას ორ კულტურულ სამყაროს ზღვარზე.

„სპანგლიში“ არ არის მხოლოდ ენობრივი ჟარგონი — ეს არის ენობრივი ქრონოტოპი. ინგლისური წარმოადგენს „აწმყოსა და კანონის“ სივრცეს, ხოლო ჩართული ესპანური ფრაზები — „ემოციურ მეხსიერებას“ და ინტიმურ კავშირს დაკარგულ სამშობლოსთან. ნარატიული მეორე პირი („You“) მკითხველს აიძულებს, უშუალოდ იგრძნოს ის გაუცხოება და იდენტობის ფრაგმენტაცია, რომელსაც პერსონაჟი განიცდის საკუთარი თავის მიმართ.

ტექსტში ეს დისტანცია განსაკუთრებით ნათლად ჩანს: "You look at her and you see the island you left... but the words come out in English, stiff and formal" (Diaz, 2012: 34). აქ „სპანგლიში“ ხდება იარაღი და წინააღმდეგობის ფორმა: პერსონაჟი უარს ამბობს სუფთა ინგლისურზე, რადგან ეს ნიშნავს სრულ კაპიტულაციას დომინანტი კულტურის წინაშე. დიასის ენა არის „ჰიბრიდული წინააღმდეგობა“ — იგი არ აძლევს მკითხველს კომფორტული კითხვის საშუალებას, რითაც აიძულებს მას, პირადად იგრძნოს ემიგრანტის ენობრივი დისკომფორტი და ეგზისტენციალური არაკომფორტულობა.

დიასთან ემიგრაცია აღარ არის მხოლოდ გეოგრაფიული გადასახლება — ეს არის მუდმივი, ყოველდღიური ბრძოლა „მესამე სივრცის“ სიმბოლურ არეალში გადარჩენისთვის. სადაც ენა ერთადერთ იარაღად რჩება იდენტობის დასაცავად და რეკონსტრუქციისთვის. ამავდროულად, ენობრივი ჰიბრიდიზაცია არ წარმოადგენს მხოლოდ ასიმილაციის შედეგს, არამედ თავად გახდა წინააღმდეგობის აქტი, კულტურული დომინანტის მიმართ რეზისტენციის ლინგვისტური ფორმა.

დასკვნა. წარმოდგენილმა კომპარატივისტულმა ანალიზმა აჩვენა, რომ მიუხედავად ქრონოლოგიური დისტანციისა და კულტურული კონტექსტების განსხვავებისა, სამივე განხილული ავტორის შემოქმედებაში ქრონოტოპული კოორდინატების ტრანსფორმაცია იდენტობის ფრაგმენტაციის უშუალო ინდიკატორად გვევლინება. ემიგრაციის სიმძიმე, როგორც უნივერსალური ლიტერატურული პარადიგმა, ევოლუციურ განვითარებას განიცდის:

XX საუკუნის დასაწყისი (ლორთქიფანიძე): ემიგრაცია და კულტურული გაორება წარმოდგენილია როგორც ფატალური, გადაულახავი ტრაგედია. არქაული და მოდერნული ქრონოტოპების შეჯახება სიკვდილით მთავრდება. სინთეზი შეუძლებელია.

XXI საუკუნე (ლი, დიასი): ემიგრაციის სიმძიმე ტრანსფორმირდება ფსიქოლოგიურ, ენობრივ და მეხსიერებრივ ტრავმაში, თუმცა ჩნდება გადარჩენისა და რეკონსტრუქციის ხერხები. ხელოვნება (ლისთან) და ენობრივი ჰიბრიდულობა (დიასთან) ხდება ის „ხიდები“, რომლებიც წამიერად, მაგრამ მაინც აერთებს გაორებულ ქრონოტოპს.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ თუ აგიოგრაფიულ ლიტერატურაში ენის დაკარგვა რელიგიური განსაცდელია და მისი აღდგენა — სასწაული, ლორთქიფანიძესთან კი — კულტურული ფატალიზმი, თანამედროვე ამერიკულ პროზაში ეს არის მუდმივი ნეგოციაცია (მოლაპარაკება) ენებსა და მეხსიერებებს შორის. მხატვრული ტექსტი რჩება იმ ერთადერთ ლიტერატურულ სივრცედ, სადაც გაორებული ქრონოტოპის მქონე სუბიექტი ახერხებს საკუთარი თავის, საკუთარი ფრაგმენტირებული იდენტობის ნარატივულ რეკონსტრუქციას და ხელახლა აღმოჩენას.

საკვანძო სიტყვები: მოკლე მოთხრობა, ქრონოტოპი, კულტურული იდენტობა, ემიგრაცია, ნიკო ლორთქიფანიძე, ჯუნო დიასი, იანგ ჩოი, ასიმილაცია, კომპარატივისტიკა

ლიტერატურა:

- ბარბაქაძე, ც. (2022). ქალაქში – ქალაქი. ახალი ცნობიერების დაბადება. თბილისი.
- ბიშოპი, ე. (2008). ერთი ხელოვნება. ჟურნალი „არილი“, 23 ნომბერი, 12-15.
- ლორთქიფანიძე, ნ. (2002). თხზულებანი. გამომცემლობა „დიოგენე“. თბილისი.
- ომიაძე, ს. (2008). ბუნებრივი ენა და კულტურა – ერის ცოცხალი მეხსიერება. „სემიოტიკა“, №4, 70-75.
- რამიშვილი, ვ. (1947). ენის სიწმინდისათვის. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, №4, 25-45.
- ყალიჩავა, თ. (2020). კულტურათა გარდაუვალი სინთეზის მხატვრული პარადიგმა. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 15, 126-135.
- Bakhtin, M. M. (1981). *The Dialogic Imagination: Four Essays* (M. Holquist, Ed.; C. Emerson & M. Holquist, Trans.). University of Texas Press.
- Bhabha, H. K. (1994). *The Location of Culture*. Routledge.
- Choi, Y. (2018). *The Art of Losing*. In *The Best American Short Stories* (pp. 50-71). Houghton Mifflin Harcourt.
- Diaz, J. (2012). *This Is How You Lose Her*. Riverhead Books.

Tamar Kalichava
Sulkhan-Saba University

Tamta Kalichava
Georgian University
Tbilisi, Georgia
E:mail: Tamuniakalichava@gmail.com
tamtalkalichava@gmail.com
<https://doi.org/10.52340/lac.2026.11.46>

The Doubled Chronotope and the Weight of Emigration in XX-XXIst Century American and Georgian Short Stories

(Based on the stories of Juno Dias, Yang Choi and Niko Lortkipanidze)

Abstract

The article is a complex interdisciplinary study that aims to analyze the transformation of cultural identity and emigration discourse in short prose of the XX-XXI centuries. The object of the research is the short stories of three authors from different eras and cultural contexts – Niko Lortkipanidze, Juno Dias and Yang Choi. The work focuses on the phenomenon of “doubled chronotope” – an existential situation when a character simultaneously exists in two conflicting cultural spaces and temporal dimensions. The research shows that the severity of emigration manifests itself as a multi-layered form of linguistic, social and psychological alienation.

Keywords: short story, Niko Lortkipanidze, Juno Dias, Yang Choi, cultural identity, immigration, assimilation,